ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი **27 იანვარი, 2016 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ლევან რაზმაძე - სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

დავით ვარდიაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

დავით ხუციშვილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის CON150000078 ფარგლებში კონსოლიდირებული ტენდერითა და გამარჯვებულ მიმწოდებლებთან გაფორმებული შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელების შესახებ.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, ილია ბეგიაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერისა CON150000078 და შემსყიდველ ორგანიზაციებსა და გამარჯვებულ მიმწოდებლებს შორის გაფორმებული შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებების თანახმად, ფიჭური სატელეფონო მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2017 წლის 31 იანვრამდე.

2017-2018 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2017 წლის 26 იანვარს გამოცხადდა კონსოლიდირებული ტენდერი, რომელშიც სატენდერო წინადადების მიღების დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 იანვარი. შესაძლებელია, შემჭიდროვებული ვადების გამო ზემოაღნიშნული ტენდერის ფარგლებში 2017 წლის 31 იანვრამდე ვერ მოესწროს გამარჯვებულ პრეტენდენტთან შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმება. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად კი შემსყიდველი ორგანიზაციები ვერ შეძლებენ უწყვეტი მომსახურების მიღებას კონსოლიდირებული ტენდერით გათვალისწინებული ტარიფების შესაბამისად.

ილია ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნება ძალზედ მნიშვნელოვანია შემსყიდველი ორგანიზაციების შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტობის აუცილებლობიდან და რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შემსყიდველ ორგანიზაციებსა და CON150000078 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებლებს (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“) შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონსოლიდირებული ტენდერითა და შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 1 მარტამდე.

კომისიამ დაადგინა:

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016-2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON150000078) შემსყიდველ ორგანიზაციებსა და გამარჯვებულ მიმწოდებლებს (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“) დაერთოთ ნება, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონსოლიდირებული ტენდერითა და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა გააგრძელონ 2017 წლის 1 მარტამდე.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.